



კოალიცია  
დამოუკიდებელი  
და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის  
Coalition for  
an Independent and  
Transparent Judiciary

## კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

### საქმიანობის ანგარიში

(პერიოდი: 2011–2013)

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს კოალიციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს 2011 წლიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით.

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია როგორც კოალიციის სამუშაო ჯგუფების, ისე მმართველი კომიტეტის და ზოგადად კოალიციის წევრი ორგანიზაციების თანამონაწილეობით განხორციელებული საქმიანობების შესახებ. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია დღეს კოალიციისა და მისი სამუშაო ჯგუფების წინაშე არსებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი გამოწვევები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კოალიციის საქმიანობა განსაკუთრებით ეფექტური და წარმატებული იყო საზოგადოებრივი ფორუმების მიმართულებით. საერთო ჯამში, კოალიციამ დაარსებიდან დღემდე 7 საზოგადოებრივი ფორუმის გამართვა შეძლო. თითოეული მათგანი გამოირჩეოდა მაღალი დონის წარმომადგენლობით, თემატიკის აქტუალობით და გამართული დისკუსიის ხარისხით. ცალკეულ შემთხვევებში კოალიციის ფორუმებზე წამოჭრილ საკითხებზე შედეგებიც საკმაოდ წარმატებული იყო.

ასევე უნდა გამოიყოს კოალიციის აქტიურობა საჯარო განცხადებების გამოქვეყნების კუთხით. კოალიცია ძირითად შემთხვევებში წარმატებულად ართმევდა თავს დროული და კვალიფიციური განცხადებების მომზადებას და გამოქვეყნებას. კოალიციის მანდატის გათვალისწინებით განცხადებები ვრცელდებოდა ყველა ძირითად მოვლენასთან დაკავშირებით ქვეყანაში. კოალიციამ ასევე არაერთხელ მიმართა ღია წერილით სხვადასხვა რელევანტურ სუბიექტს. კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების რაოდენობისა და არსებული პროცედურების გათვალისწინებით კოალიციის მიერ საჯარო აქტივობების რაოდენობა და ხარისხი დადებითად შეიძლება იქნეს შეფასებული. თუმცა, კოალიციის საქმიანობისთვის მეტი ეფექტურობისთვის შესაძლებელია ამ საკითხზე უფრო აქტიურად მუშაობა მომავალში.

### 1. კოალიციის მიერ გამართული ფორუმები

კოალიციის **პირველი ფორუმი** გაიმართა 2011 წლის 29 ივლისს და ის ეხებოდა სასამართლოს გამჭვირვალობისა და სასამართლოში არსებული საჯარო ინფორმაციის დამუშავების საკითხს.

კოალიციის **მეორე ფორუმი** გაიმართა 2011 წლის 14 ნოემბერს, მოსამართლეთა დანიშვნა, დაწინაურება, მივლინებისა და მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელების საკითხებზე

კოალიციის **მესამე ფორუმი** გაიმართა 2012 წლის 21 თებერვალს და მიეძღვნა საგადასახადო და კომერციული სამართლის საკითხებს. კერძოდ, ფორუმზე განხილულ იქნა, ცვლილებები საგადასახადო კოდექსსა და სააღსრულებლო წარმოების შესახებ კანონში, ასევე საგადასახადო დავების გადაჭრის



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



კვრახიის  
თანამართლობის  
ფონდი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



SWEDEN



კოალიცია  
დამოუკიდებელი  
და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის  
Coalition for  
an Independent and  
Transparent Judiciary

ალტერნატიულ მეთოდებთან დაკავშირებული საკითხები.

კოალიციის **მეოთხე ფორუმი** გაიმართა 2012 წლის 6 აპრილს. ფორუმის თემატიკას წარმოადგენდა პარლამენტში ინიცირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და კერძოდ, ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების საკითხები და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან.

კოალიციის **მეხუთე ფორუმი** გაიმართა 2012 წლის 6 ივლისს მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების საკითხებზე. ფორუმის უმთავრეს თემას წარმოადგენდა ინდივიდუალური მოსამართლისა და მოსამართლეთა თვითმმართველობის როლის გაძლიერების საკითხი. ფორუმზე გაიმართა კოალიციის ანგარიშის პრეზენტაცია „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში“.

კოალიციის **მეექვსე ფორუმი** გაიმართა 2012 წლის 13 ნოემბერს, სასამართლო სისტემის რეფორმის კუთხით კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ფორუმის ძირითადი მიზანი იყო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის აზრთა გაზიარება მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

კოალიციის **მეშვიდე ფორუმი** გაიმართა 2013 წლის 20 მაისს, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის კანონპროექტთან დაკავშირებით. ფორუმზე საუბარი შეეხო კომისიის შექმნასთან დაკავშირებულ როგორც ინსტიტუციურ ისე პროცედურულ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ფორუმი მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელთა მხარდაჭერითა და ჩართულობით. თითოეულ საზოგადოებრივ ფორუმში ასევე მონაწილეობდნენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მაღალი თანამდებობის პირები, რაც ქმნიდა შესაძლებლობას ინფორმაციის მიღება და მიწოდება მომხდარიყო ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლებისთვის.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ფორუმების შედეგებს, უნდა აღინიშნოს რომ კოალიციას მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, სასამართლო სისტემის ადმინისტრირების საკითხებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სისტემისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებითი ხასიათის ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა, კოალიციის აქტიური მუშაობის შედეგად დღეს როგორც ხელისუფლებისთვის ასევე სამოქალაქო საზოგადოებისთვის იდენტიფიცირებულია ის პრობლემები, რაც ადმინისტრაციულ პატიმრობას ახასიათებს.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, კოალიციის აქტიური მონაწილეობით ხელისუფლებამ დაიწყო ინდივიდუალური მოსამართლისა და მოსამართლეთა კონფერენციის ფუნქციების გაძლიერება და ინტერესთა კონფლიქტების აღმოფხვრა ცალკეულ შემთხვევებში. თუმცა, ამ მიმართულებით რჩება რიგი საკითხები, რომელზე მუშაობაც კოალიციამ უნდა გააგრძელოს ადვოკატირების კუთხით.

## 2. კოალიციის სამუშაო გეგმები



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



კვიპაზიის  
თინაფორმოლოის  
ფონდი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



SWEDEN



კოალიცია  
დამოუკიდებელი  
და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის  
Coalition for  
an Independent and  
Transparent Judiciary

კოალიციის ფარგლებში მოქმედებს შემდეგი 5 სამუშაო ჯგუფი: სასამართლოს ადმინისტრირების ჯგუფი, სისხლის სამართლის ჯგუფი, იურიდიული დახმარების ჯგუფი, იურიდიული განათლების ჯგუფი, კომერციული სამართლის ჯგუფი.

თითოეული ჯგუფის აქტიურობის შედეგია არამხოლოდ კოალიციის წარმატებული საზოგადოებრივი ფორუმები, ასევე სხვა მნიშვნელოვანი პროდუქტები, რომელიც სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგად მომზადდა. თუმცა, სამუშაო ჯგუფებს ასევე აქვთ გარკვეული გამოწვევები მათი საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვასთან დაკავშირებით. ეს გამოწვევები ძირითადად უკავშირდება სამუშაო ჯგუფების წევრების მონაწილეობას სამუშაო ჯგუფის შეხვედრებსა და სხვა აქტივობებში და სამუშაო ჯგუფის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებაში თანაბარ ჩართულობას. ამ მიმართულებით კოალიციამ უნდა იზრუნოს გარკვეულწილად პროცესის გადახალისებასა და მოდიფიცირებაზე.

### 2.1. სასამართლოს ადმინისტრირების ჯგუფი

სასამართლოს ადმინისტრირების ჯგუფმა კოალიციის ფარგლებში საქმიანობა საკმაოდ აქტიურად დაიწყო. პირველი და მეორე ფორუმები სწორედ აღნიშნული სამუშაო ჯგუფის თემატიკას შეეხებოდა. მუშაობი საწყის ეტაპზე, სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზებული და შეფასებული იქნა სასამართლოს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, კერძოდ მოსამართლეთა დანიშნვის, დაწინაურების, მივლინების, დისციპლინური სამართალწარმოების თემები, რომელთა ანალიზის შედეგადაც მომზადდა რეკომენდაციები და მათი გაზიარება მოხდა სასამართლოს და ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენლებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატების ხანგრძლივი და ფართომასშტაბიანი კამპანიის შედეგად 2012 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი ცვლილებები სასამართლოს სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. ცვლილებების შედეგად შეიზღუდა მოსამართლეთა უვადოდ მივლინება სხვა სასამართლოში, საჯარო გახდა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სხვა. აღნიშნული ცვლილებები პირველი არსებითი ხასიათის წარმატება იყო მთლიანად კოალიციის საქმიანობაში.

ამის შემდეგ, სასამართლოს ადმინისტრირების ჯგუფის მიერ გაცილებით უფრო კომპლექსურად მოხდა მართლმსაჯულების სისტემის შეფასება და გაანალიზება. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეიქმნა კოალიციის ანგარიში „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში“, რომელმაც თავის მხრივ დიდწილად განაპირობა შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებები. ანგარიშის ძირითადი ნაწილი შეეხებოდა სასამართლო სისტემაში ინდივიდუალური მოსამართლის როლისა და მოსამართლეთა თვითმმართველობის როლის გაანალიზებას, მათი ფუნქციების შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენას. 2012 წლის ბოლოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებების პაკეტის დიდი ნაწილი სწორედ კოალიციის ანგარიშის სულისკვეთებას გამოხატავდა.

სასამართლოს ადმინისტრირების ჯგუფის მუშაობა მხოლოდ ანგარიშის მომზადებით არ შემოსაზღვრულა. სამუშაო ჯგუფმა და მთლიანად კოალიციამ გააგრძელა მუშაობა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის დახვეწის მიმართულებით, რასაც ეძღვნებოდა კიდევ კოალიციის მეექვსე საზოგადოებრივი ფორუმი. სამუშაო ჯგუფი აქტიურად მონაწილეობდა



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



ევრაზიის  
თანამართლებლობის  
ფონდი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



SWEDEN



კოალიცია  
დამოუკიდებელი  
და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის  
Coalition for  
an Independent and  
Transparent Judiciary

საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე მიმდინარე კონსულტაციებში, ამასთან ამ ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან აქტიურად აკვირდება საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის პროცესს.

## 2.2. სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფი

სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის პრიორიტეტად საწყის ეტაპზე განისაზღვრა რამდენიმე აქტუალური თემა, მათ შორის, ადმინისტრაციული პატიმრობა, ალკვეთი ღონისძიებები, საპროცესო შეთანხმება და სხვა.

სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფმა 2012 წელს მოამზადა „შენიშვნები და რეკომენდაციები ადმინისტრაციულ დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებით“, რომელიც მოიცავდა შენიშვნებს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან დაკავშირებით. სწორედ ამ თემას მიემდვნა კოალიციის მეოთხე საზოგადოებრივი ფორუმი. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კოალიციის სახელით ამავე თემაზე მიმართვა გაეგზავნათ ვენეციის კომისიის ექსპერტებს. ამას გარდა, შეხვედრა გაიმართა შსს-ს წარმომადგენლებთანაც. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ ადვოკატების აქტიურ კამპანიას საჭიროებს.

გარდა ადმინისტრაციული პატიმრობისა, სისხლის სამართლის ჯგუფმა ასევე მოამზადა და გამოაქვეყნა კვლევა „ალკვეთის ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში“, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების და უშუალოდ სასამართლოს განჩინებების კვლევას ეფუძნებოდა და რომლის შედეგადაც შემუშავებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები. აღნიშნული ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა 2012 წლის დეკემბერში. ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები დამატებით საჭიროების ადვოკატების პროცესის გაგრძელებას.

სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფი ამჯერად მუშაობს საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკის ანალიზზე, რომელიც უახლოს პერიოდში უნდა დასრულდეს. ამ ეტაპისთვის ჩატარებულია კანონმდებლობის მიმოხილვა, შესწავლილია საპროცესო შეთანხმებით დასრულებული 100 განაჩენი, ასევე ჩატარდა ღრმა ინტერვიუები. კვლევის დასრულების შემდეგ, შედეგები და რეკომენდაციები ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისთვის.

## 2.3. იურიდიული დახმარების ჯგუფი

იურიდიული დახმარების ჯგუფის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის მოპოვება იურიდიული დახმარების გამწვევი სუბიექტების შესახებ, მათი შესწავლა ტერიტორიული და თემატური მიმართულებების და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ამ მიზნით, იურიდიული დახმარების ჯგუფმა ქვეყნის მასშტაბით მოიძია 32 ორგანიზაცია, რომელიც ეწევა უფასო იურიდიულ დახმარებას, მათი ნაწილის (19 ორგანიზაციის) მიერ შევსებული კითხვარების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის მიერ შეიქმნა იურიდიული დახმარების განმახორციელებელი ორგანიზაციები რუკა.

იურიდიული დახმარების ჯგუფის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს კერძო საადვოკატო ფირმების იდენტიფიცირება, რომლებიც ქველმოქმედების სახით განახორციელებენ უფასო იურიდიულ



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



ევრაზიის  
თანაფარობის  
ფონდი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



SWEDEN



კოალიცია  
დამოუკიდებელი  
და გამჭვირვალე  
მართლმსაჯულებისთვის  
Coalition for  
an Independent and  
Transparent Judiciary

დახმარებას წელიწადში 1 ან 2 საქმეზე. ამ ეტაპზე შერჩეულია ასეთი 8 საადვოკატო და 11 აუდიტორული ფირმა, რომლებიც მოიაზრებიან პრო ბონოს განმახორციელებელ სუბიექტებად.

იურიდიული დახმარების ჯგუფის მიზანს ასევე წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის კვლევა. ამ ეტაპზე ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. ასევე მომზადებულია რეკომენდაციები იურიდიული დახმარების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე.

#### 2.4. იურიდიული განათლების ჯგუფი

იურიდიული განათლების ჯგუფმა რამდენიმე მიმართულებით განახორციელა საქმიანობა, მათ შორის, ჯგუფმა იმუშავა ადვოკატის პროფესიაში შესვლის წინაპირობების გართულების კუთხით სხვადასხვა შესაძლო მოდელზე, ისევე როგორც მოხდა აზრების ჩამოყალიბება ადვოკატებისათვის მიმდინარე იურიდიული განათლების პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით.

ამ ეტაპზე, ჯგუფი მუშაობს საქართველოში ხარისხიანი იურიდიული განათლების სტანდარტის კვლევაზე. ამ მიზნით, ჯგუფი აპირებს არსებული იურიდიული განათლების სისტემის სრულ შესწავლას, მათ შორის, იურიდიული მომსახურების მიმდებთა გამოკითხვას, რათა გაირკვეს თუ რამდენად არიან სერვისის მიმღები ბენეფიციარები კმაყოფილნი. ამასთან შესწავლილი იქნება წამყვანი იურიდიული სკოლების სასწავლო პროგრამები და კურიკულუმები, შემუშავებული იქნება რეკომენდაციები იმ საჭიროებებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს რომ იურიდიული განათლება საქართველოში პასუხობდეს ხარისხის მაღალ სტანდარტს. ასევე იგეგმება მოქმედი ნორმატიული აქტების მათი შემდგომი დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.

#### 2.5. კომერციული სამართლის ჯგუფი

კომერციული ჯგუფის თემატიკას მიემდგნა კოალიციის მესამე საზოგადოებრივი ფორუმი. ჯგუფი მუშაობდა საკუთრების უფლების ხელყოფისა და ხარვეზების კომისიის კანონპროექტზე, სამოქალაქო უფლებებთან და საკუთრებასთან დაკავშირებული საქმეების პრიზმაში. ჯგუფის კოორდინირებას ახორციელებდა ამერიკის სავაჭრო პალატა, ამ დროისათვის კი კოორდინატორის ფუნქციებს 42-ე მუხლი ითავსებს. საჭიროა ამ ჯგუფის მნიშვნელოვნად გააქტიურება მომავალში.

### 3. ადვოკატირება

კოალიციის მიერ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების ადვოკატირების მიზნით, კოალიციის წარმომადგენლებმა დაგეგმეს და განახორციელეს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, მათ შორის, კოალიციის თავმჯდომარემ და თავმჯდომარის მოადგილემ არაერთი შეხვედრა გამართეს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე ხდებოდა კოალიციის ანგარიშის „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში“ პრეზენტაცია და კოალიციის შეხედულებების გაცნობა დიპლომატიური კორპუსისთვის.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



ევრაზიის  
თანამშრომლობის  
ფონდი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



SWEDEN



ამას გარდა, კოალიციამ ჩაატარა შეხვედრების სერია სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტთან, რათა მათთვის გაეცნო და ასევე, მათგან მოესმინა ხედვები სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით.

შეხვედრა გაიმართა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტშიც ადმინისტრაციული პატიმრობის თემაზე კოალიციის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ასევე, რომ კოალიციის ეგიდით მომზადდა 4 თემატური ვიდეო რგოლი, კოალიციის მანდატში შემავალ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის, ერთი შეეხება კოალიციის პრეზენტაციას, ერთი – ადმინისტრაციულ პატიმრობას, ერთი აუდიო ჩაწერის განხორციელებას სასამართლოში და ერთიც იურიდიული დახმარების რუკის პრეზენტაციას.

დავით ასათიანი

ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



აღმოსავლეთის  
და დასავლეთის  
მართლმსაჯულების  
ინსტიტუტი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



SWEDEN